საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1422 2016 წლის 18 ივლისი ქ. თბილისი

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება მესტიის მუნიციპალიტეტს, 740 000 (შვიდას ორმოცი ათასი) ლარის ფარგლებში, განახორციელოს მესტიის მუნიციპალიტეტში, კატასტროფებთან დაკავშირებით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დაბა მესტიაში არსებული „ლეხთაგის ღელის“ კალაპოტის და ღორღდამჭერების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**